| ინდიკატორი N2.1.2.2 | კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;                                             | <b>სპორტი:</b> სასურველია წარმოდგენილ კურიკულუმების ჩარჩოში არეული გრაფები და ასევე თემატის მიხედვითგამოტოვებული დავალების პირობები გასწორდეს.                                                                                                                                                                                                                                         |
| ინდიკატორი N2.1.2.5 | მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. | <b>უცხოური ენები:</b> სასურველია მოხდეს მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტიკის საფუძველზე სკოლის დონეზე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის შეფასება. ამისათვის კათედრამ უნდა შეარჩიოს სადიაგნოსტიკო შეფასების გარკვეული ინსტრუმენტი.<br><b>სპორტი:</b> სასურველია, სამომავლოდ, შეფასების რუბრიკები შეიმუშაონ კურიკულუმით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო თემის შესაბამისად.     |
| ინდიკატორი N2.2.2.4 | სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.  | <b>ესთეტიკური აღზრდა:</b> მასწავლებელთა პროფესიული წინსვლისთვის, უმჯობესია გაკვეთილზე დასწრების უკუკავშირი კოლეგის მხრიდან იყოს უფრო კონკრეტული, სუსტ მხარეებზე აქცენტით და რეკომენდაციით.                                                                                                                                                                                             |
| <b>სტანდარტი N2</b> | <b>სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის კურიკულუმი)</b>                                                        | <b>რჩევა</b>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                           |

|                        |                                                                                                                 |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                        |
|------------------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| ინდიკატორი<br>N2.1.2.2 | კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;                                             | <b>სპორტი:</b> სასურველია წარმოდგენილ კურიკულუმების ჩარჩოში არეული გრაფები და ასევე თემების მიხედვით გამოტოვებული დავალების პირობები გასწორდეს.                                                                                                                                                                                                                        |
| ინდიკატორი<br>N2.1.2.5 | მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. | <b>უცხოური ენები:</b> სასურველია, შედგენილ იქნას განმსაზღვრელი შეფასების ისეთი რუბრიკები, რომელთან თან ახლავს გრაფა კომენტარებისათვის, რომლის საშუალებით მასწავლებელი ახსნის, თუ რატომ შეაფასა მოსწავლე ამა თუ იმ ქულით.<br><br><b>სპორტი:</b> სასურველია, სამომავლოდ, შეფასების რუბრიკები შეიმუშაონ კურიკულუმით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო თემის შესაბამისად. |

## VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შედგენილ დასკვნის პროექტზე სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გამოვლენილ ხარვეზებთან (3.4.1.1; 3.5.1.4; 2.2.2.3) დაკავშირებით ინდიკატორების მიხედვით სკოლამ წარმოადგინა ხარვეზის აღმოფხვრის ვადები. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით: ინდიკატორი 2.2.2.3 (საბაზო და საშუალო საფეხურებზე) შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ვინაიდან სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით, ინდიკატორთან მიმართებით, სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა არაუმეტეს 12 თვისა, ხოლო ინდიკატორები მესამე სტანდარტთან მიმართებით 3.4.1.1; 3.5.1.4 შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისი“ ვინაიდან სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით, ჩამოთვლილ ინდიკატორებთან მიმართებით, სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა ვადა არაუმეტეს 12-24 თვისა.

## ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

### 1. სკოლის ფილოსოფია

#### 1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

##### 1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

#### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა, შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებს. სკოლის მისია და ხედვა ჩამოყალიბებულია წერილობითი ფორმით და წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელ ნაწილს. სკოლის მისიაა: მისია - ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში სისტემური სიახლეების დანერგვა, სკოლაში უსაფრთხო და პოზიტიური გარემოს შექმნა, რომელიც მოსწავლეებს დაეხმარება ცხოვრებაში არსებულ გამოწვევებთან გამკლავებაში.

სკოლის ხედვაა:

2030 წლისთვის სკოლა იქნება მაღალი ნდობისა და აღიარების მქონე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც მოსწავლეებს მისცემს მდგრადი განათლების, მიზნების გაცნობიერებისა და რეალურ ცხოვრებაში არსებული გამოწვევებისთვის ოპტიმალური მეთოდების შერჩევა-გამოყენებას.

სკოლის ღირებულებებია:

1. სკოლისადმი ერთგულება - ჩვენ ყველა გადაწყვეტილებას ვიღებთ სკოლისა და თემის ინტერესებიდან გამომდინარე.
2. გუნდურად მუშაობა - ჩვენ გადაწყვეტილებებს ვიღებთ გუნდურად, სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.
3. ადამიანის უფლებების დაცვა - ჩვენი გუნდისთვის მთავარია ადამიანი, რისთვისაც ვქმნით მზრუნველ გარემოს და გადაწყვეტილებას ვიღებთ მხარდამჭერის პოზიციიდან.

5. სამართლიანობა - ჩვენ მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება ეფუძნება სამართლიანობის პრინციპს, რომელიც მაქსიმალურად გამორიცხავს სუბიექტივიზმს და არ ტოვებს უსამართლობის განცდას.

6. გამჭვირვალობა - ჩვენს საქმიანობაში მიმდინარე პროცესები, პროცედურები, ჩვენი ხედვები და ღირებულებები საჯაროა და ხელმისაწვდომი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლაში არის თანამშრომლობითი გარემო, რაც სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის კომუნიკაციას და მუშაობის პროცესს ამარტივებს. სკოლის სადამრიგებლო პროგრამები მიმართულია მოსწავლის სოციალ - კულტურული განვითარებისთვის, მასწავლებლები სწავლების პროცესში იყენებენ როგორც დიფერენცირებული, ისე განმავითარებელი სწავლების ინსტრუმენტებს.

მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებისათვის სკოლას განხორციელებული აქვს სხვადასხვა პროექტები, სკოლაში შექმნილია და ფუნქციონირებს ლიტერატურული კლუბი „პირველი მერცხალი“ და სპორტული კლუბი - „გალაქტიკოსები“, რომელთაც აქვთ თავიანთი დებულებები და სამოქმედო გეგმები. კლუბების ინიციატივით განხორციელდა არაერთი საინტერესო პროექტი მათ შორის ლიტერატურული კლუბისა და მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ ინიცირებული შეხვედრა თანამედროვე პოეტთან თემურ ელიაშვილთან, სპორტის მასწავლებლის ინიციატივით - „ქართველი ოლიმპიელები“, რომლის მიზანი სპორტის პოპულარიზაცია და შემოქმედებითი უნარების განვითარებაა.

სკოლაში არის თანამშრომლობითი, კეთილგანწყობილი, ურთიერთპატივისცემასა და გამოცდილების გაზიარებაზე ორიენტირებული გარემო. საგნის მასწავლებლები და კლასის ხელმძღვანელები ხშირად გეგმავენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს მორგებულ აქტივობებს, რომლებშიც ჩართული არიან მშობლებიც.

მიუხედავად სკოლის ინფრასტრუქტურული გამოწვევებისა, მაინც ახერხებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობას უსაფრთხო გარემოში. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, სკოლას ჰყავს 3 დარაჯი, 1 კარისკაცი, რომელიც ხელშეკრულების პირობის მიხედვით უზრუნველყოფს სკოლაში გარეშე პირების გადაადგილების კონტროლს. სკოლაში არის 2 მანდატური, რომლებიც ასევე უზრუნველყოფენ სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვას. ამ ფუნქციას ასრულებენ მორიგე მასწავლებლებიც. დირექტორის N1/კ15 ბრძანებით შექმნილია საგანგებო შტაბი და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა. სკოლაში დამონტაჟებულია 11 სათვალთვალო კამერა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3.სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში აქტიურად არიან ჩართულები მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები. სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული გეგმის მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, სკოლაში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები. სკოლას შემუშავებული აქვს კითხვარი მშობლებისათვის. კითხვარების დამუშავების შედეგად გამოკვეთილი მოსაზრებები და მოთხოვნები ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4.სკოლამ წარმოადგინა მისია, ხედვა, ღირებულებების შემუშავების დროს სასკოლო საზოგადოებისთვის გაგზავნილი კითხვარი .კითხვარი მოიცავს სკოლის ფილოსოფიის ყველა ასპექტს, რომლის საშუალებითაც დაწესებულებას მიეცა საშუალება შეემუშავებინა სკოლის მისია, ხედვა ღირებულებები სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.სასწავლო წლის დასაწყისში კლასების დამრიგებლები მშობელთა კრებებზე მშობლებსა და მოსწავლეებს აცნობენ სასკოლო სასწავლო გეგმას, რომლის შემადგენელი ნაწილიც არის სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ,რომ სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს იცნობს სასკოლო საზოგადოება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. სკოლის დერეფანში საინფორმაციო დაფაზე გამოკრულია სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები, ასევე გაზიარებულია სკოლის ვებ გვერდზე.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N448, 2005 წლის 13 სექტემბერი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №194, 2007 წლის 16 მარტი „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“- დოკუმენტებით სკოლის სახელწოდებაა „სსიპ გიორგი ჭყონდიდელის სახელობის ქალაქ ფოთის N7 საჯარო სკოლა“. შესაბამისად, სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- საგანგებო შტაბის შექმნის ბრძანება N1/კ-15

- სსიპ გიორგი ჭყონდიდელის სახელობის ქალაქ ფოთის N7 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის განაცხადზე მომუშავე ჯგუფის ბრძანება. N1/კ-N12
- მშობელთა გამოკითხვის ფორმა.
- ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

## 1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

### 1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

## ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც განსაზღვრულია აღნიშნული დოკუმენტების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანისა და გაზიარების მექანიზმები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებული საკითხები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან გეგმაში წარმოდგენილია 2023-2030 წლებში სამუშაო პროცესის შემდეგი მიმართულებები:

- მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული ზრდა.
- სკოლაში სწავლებისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა.
- მოსწავლეთა სწავლა-სწავლების უწყვეტი ზრდა ინოვაციური მეთოდების დანერგვით ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში.
- წახალისების მეთოდების დანერგვა სკოლის მდგრადი განვითარებისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. სკოლას აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძნება სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ამოცანები ჩაშლილია კონკრეტულ აქტივობებად. მითითებულია შესრულების ვადები, პასუხისმგებელი პირები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსები, რომლებიც შეესაბამება სკოლის 7 წლიან სტრატეგიულ გეგმას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

## დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი
- 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმა.
- შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა
- სსიპ გიორგი ჭყონდიდელის სახელობის ქალაქ ფოთის N7 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის განაცხადზე მომუშავე ჯგუფის ბრძანება. N1/კ-N12
- მშობელთა გამოკითხვის ფორმა.
- ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან;

### 1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. ( მუხლი N7 ) როგორც აღნიშნული დოკუმენტიდან ირკვევა, სკოლა მონიტორინგში მოიაზრებს სტრატეგიული გეგმის ფარგლებში განსაზღვრული კონკრეტული ამოცანების მიმართ პროგრესის შემოწმებას. ამავე დოკუმენტის შესაბამისად, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მიმართულებების შესრულება შეფასდება სემესტრისა და სასწავლო წლის ბოლოს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
2. არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე
3. არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე
4. არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი

შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

#### 3.1. პერსონალის მართვა

##### 3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

#### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს სკოლის სტრუქტურა გრაფიკული გამოსახულების სახით, რომელიც მოიცავს შემდეგ ერთეულებს: სამეურვეო საბჭოს, დირექციას, ადმინისტრაციას, პედაგოგიურ საბჭოს, დისციპლინურ კომიტეტს, საგნობრივი ჯგუფის ლაბორატორიებს და მოსწავლეთა თვითმმართველობას. სკოლაში მოქმედი პერსონალის უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია ხელშეკრულებებში. სკოლის მიერ წარმოდგენილი შრომითი ხელშეკრულებები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისია. სკოლას აქვს სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი, სადაც აღწერილია სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები და პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებები. დოკუმენტის მეორე თავია ლაბორატორიის დებულება, სადაც აღწერილია ლაბორატორიის ფუნქციები. სკოლას ასევე შექმნილი აქვს დოკუმენტი „დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები“

სკოლის დირექცია შედგება დირექტორის, დირექტორის მოადგილის და ბუღალტრისგან.

ადმინისტრაციაში შედის - საქმისმწარმოებელი, საინფორმაციო მენეჯერი, მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, ბიბლიოთეკარი, ხელშეკრულებით დასაქმებულია დამლაგებელი, სამი დარაჯი, ექიმი. საშტატო განრიგი შემუშავებულია დირექტორის მიერ და შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. სკოლას დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამით დასაქმებული ჰყავს კარისქალი, მეეზოვე და არქივზე მომუშავე პირი.

**პედაგოგიური პერსონალი შედგება - 28 მასწავლებლისაგან;** ერთი სპეცმასწავლებელი და ორი მასწავლებლობის მაძიებელი.

სკოლაში ფუნქციონირებს 7 საგობრივი ლაბორატორია: სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს ოქმი, რომლის შესაბამისად შეიტანა ცვლილება სასკოლო სასწავლო გეგმაში, საგნობრივ კათედრებს შეეცვალათ სახელი და დაერქვათ საგნობრივი ლაბორატორიები.

**სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა.** სკოლას წარმოდგენილი აქვს მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, სადაც გაწერილია თვითმმართველობის ფუნქცია-მოვალეობები, მისი არჩევის წესი. აღნიშნული სტრუქტურული რგოლი აქტიურად არის ჩართული სკოლის მართვასა და ფუნქციონირებაში.

კანონმდებლობის სრული დაცვით, სკოლაში შექმნილია მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი და მრჩეველთა საბჭო. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის ყველა თანამშრომელის მოვალეობანი და უფლებამოსილებანი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტით, შინაგანაწესით და ხელშეკრულებით.

სტრუქტურული ერთეულის/პირების ფუნქციები რეგულირდება სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი შემდეგი დოკუმენტით: „სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღწერა.“ სკოლაში ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილების არსებული პრაქტიკა ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის წარმატებით განხორციელებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- შინაგანაწესი.
- თვითმმართველობის დებულება.
- საინფორმაციო მენეჯერთან ხელშეკრულება
- საქმისმწარმოებელთან ხელშეკრულება
- სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღწერა“

**3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას**

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

#### **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლას პერსონალის მართვის წესები და პირობები წარმოდგენილი აქვს შინაგანაწესით, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

შინაგანაწესით განსაზღვრულია:

ა) სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო; ბ) დასვენების ხანგრძლივობა; გ) შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და წესი; დ) ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; ე) ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; ვ) შრომის პირობების დაცვის წესები; ზ) წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახე და გამოყენების წესი; თ) მატერიალური პასუხისმგებლობა; ი) განცხადების/საჩივრის განხილვის წესი; კ) სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები; ლ) სკოლაში ჩაცმულობის წესი.

სკოლის პერსონალთან გაფორმებულია მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისი ხელშეკრულებები, პერსონალთან დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ სკოლის შინაგანაწესი ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია. ხელშეკრულების ხელმოწერით დასაქმებული ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს.

სკოლა აქვს ასევე "ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი", რომლითაც განსაზღვრულია: საჯარო სკოლის თანამშრომელთა შრომით საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი მიდგომები, პერსონალის საქმიანობა, სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის რეგულირება და თანამშრომელთა მართვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. დირექტორის ბრძანებით N2-204 შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება, რომლის მიზანია:

ა) სკოლის მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების განსაზღვრა და პროფესიული განვითარება. ბ) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში ხარისხის ჯგუფის ფუნქციებისა და საქმიანობის განხორციელების პროცედურების განსაზღვრა; გ) მასწავლებელთა შიდა შეფასება. კერძოდ, მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციის შესაბამისობის დადგენა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან; დ) მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა.

ხარისხის ჯგუფის წევრები ახორციელებენ შემდეგ ვალდებულებებს: ა) მონაწილეობას იღებენ ხარისხის ჯგუფის მიერ განხორციელებულ აქტივობებში. ბ) მონაწილეობას იღებენ ხარისხის ჯგუფის საქმიანობის დაგეგმვასა და განხორციელებაში; გ) მონაწილეობას იღებენ თავისი პროფესიული ზედამხედველობის ქვეშ მყოფი მასწავლებლების შიდა საგაკვეთილო დაკვირვების მოსამზადებელ შეხვედრებში; დ) მონაწილეობენ თავისი პროფესიული ზედამხედველობის ქვეშ მყოფი მასწავლებლების მიერ ჩატარებული გაკვეთილის განმავითარებელ შეფასებაში; ე) მოთხოვნის შემთხვევაში, პირადად აცნობებენ მასწავლებელს ხარისხის ჯგუფის რეკომენდაციებს და აძლევენ მას ყველა საჭირო განმარტებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს გაკვეთილებზე დასწრების მასალები შესაბამისი უკუკავშირებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის პერსონალის შერჩევა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სკოლა პერსონალს არჩევს კანონმდებლობის შესაბამისად, შიდა და გარე ვაკანსიის გამოცხადების გზით, ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით; სკოლაში მასწავლებლის დასაქმება ხდება მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანების შესაბამისად, დაწესებულება ვაკანტური პოზიციის განაცხადს ქმნის სამუშაო აღწერილობის დოკუმენტზე დაყრდნობით, შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით და კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს შერჩევის ეტაპების განხორციელებას. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა გამოცხადებული ვაკანსიები და საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმები, რითაც დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით. აქვე უნდა

აღინიშნოს, რომ პერსონალის შერჩევისას სკოლა ითვალისწინებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ დასაქმების შეზღუდვის შემთხვევებს, და შესაბამისად ყველა თანამშრომელს წარმოდგენილი აქვს ცნობები: სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ, ნასამართლეობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლამ წარმოადგინა თანამშრომელთა პირადი საქმეები. მასწავლებლებთან ხელშეკრულებები დადებულია სტატუსის შესაბამისად, მოიცავს ყველა სავალდებულო პუნქტს. მასწავლებლების კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, ასევე შესაბამისობაშია დაკავებულ პოზიციასთან პერსონალის კვალიფიკაცია. სკოლას ცალკე დოკუმენტად აქვს „დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები“, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის განმარტებით, სკოლაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესი არის ობიექტური, მიუკერძოებელი და გამჭვირვალე. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობას ადასტურებს სკოლაში მოქმედი კოლეგიური ორგანოს პედაგოგიური საბჭოს და ლაბორატორიების მუშაობა. სკოლის დოკუმენტში „სტრუქტურული ერთეულების /პირების ფუნქციების აღწერა“ გაწერილია ლაბორატორიის დებულება, პედსაბჭოს დებულება და დისციპლინური კომიტეტის დებულება. ლაბორატორიის დებულებით განსაზღვრულია ფუნქციები, მათ შორის არის ლაბორატორიის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. ლაბორატორიის თითოეული წევრი ჩართულია კურიკულუმების შემუშავების პროცესში. ხდება გამოცდილების გაზიარება, ერთად გეგმავენ სხვადასხვა პროექტებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლა ზრუნავს თანამშრომელთა მოტივაციის გაზრდაზე მათი მიღწევების წახალისების გზით, რაც გაწერილია სკოლის შინაგანაწესში (მე-10 მუხლი). სკოლა პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ იყენებს წახალისების შემდეგი ფორმებს ა)

მადლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება
- შინაგანაწესი
- „დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები“,
- ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი
- „სტრუქტურული ერთეულების /პირების ფუნქციების აღწერა“

**შეფასება:**

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

### 3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

#### **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების მიზნით, სკოლაში შექმნილია მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. ჯგუფის საქმიანობა რეგულირდება დირექტორის ბრძანებით N2-204 შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებით. დოკუმენტში გაწერილია ხარისხის ჯგუფის საქმიანობის წესები, გაკვეთილზე დაკვირვება / შეფასების, მასწავლებლის საქმიანობის შეფასებისა და მათი განვითარების მიზნით სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვის მექანიზმები. ჯგუფის წევრები ეხმარებიან კოლეგებს პროფესიული საჭიროებების განსაზღვრაში, პროფესიული განვითარების აქტივობების შემუშავებასა და განხორციელებაში. სკოლას წარმოდგენილი აქვს გაკვეთილებზე დასწრების მასალები შესაბამისი უკუკავშირებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
2. დებულების შესაბამისად, პერსონალის განვითარება განხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების მიზანია: ა) სკოლის მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების განსაზღვრა და პროფესიული განვითარება. ბ) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში ხარისხის ჯგუფის ფუნქციებისა და საქმიანობის განხორციელების პროცედურების განსაზღვრა; გ) მასწავლებელთა შიდა შეფასება. კერძოდ, მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციის შესაბამისობის დადგენა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან; დ) მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
3. სკოლა ხელს უწყობს სკოლაში დასაქმებული პირების კარიერულ ზრდას. ახდენს ტრენინგების და სამუშაო შეხვედრების ორგანიზებას, ხელს უწყობს პედაგოგებს გაიარონ ტრენინგები და აიმაღლონ კვალიფიკაცია და სტატუსი. დირექცია უზრუნველყოფს მასწავლებელთა

პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცხადებული საგნობრივი ტრენინგების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას და მონაწილეობის ხელშეწყობას. მასწავლებელთა პირად საქმეში წარმოდგენილია სერტიფიკატები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაცია მოიცავს: სასკოლო საზოგადოების გაცნობას, მოვალეობებისა და უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, შენობისა და ინფრასტრუქტურის დათვალიერება-გაცნობას, პირადი საქმის შედგენას, სასკოლო დოკუმენტაციისა და სამუშაო აღწერილობის გაცნობას. აღნიშნულიდან გამომდინარე თანამშრომლების ინტეგრაცია სამუშაო გარემოსთან უზრუნველყოფილია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. ყველა ინიციატივა, რომელიც შესაძლებლობას აძლევს სკოლის პერსონალს განვითარდეს, წახალისებულია სკოლის მიერ. წახალისების ფორმები გაწერილია შინაგანაწესში (მე-10 მუხლი). სკოლა პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ იყენებს წახალისების შემდეგი ფორმებს ა) მადლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება
- შინაგანაწესი;
- დამრიგებლის პორტფოლიო;
- მასწავლებლების პირადი საქმეები

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.



- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

### 3.3. პროცესების მართვა

#### 3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

#### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს სწავლა/სწავლების, სასწავლო გარემოსა და პროცესის ხარისხის მართვას და ადგენს ხარისხის უზრუნველყოფის და განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებებს. დოკუმენტის შექმნის მიზანია სწავლების ხარისხის მონიტორინგი და მათი მუდმივი სრულყოფა, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენება და მათი განვითარებისათვის ხელშეწყობა. სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და მუდმივი გაუმჯობესების მიზნით, სკოლა მუდმივად ახორციელებს სასწავლო პროგრამების განხორციელების შეფასების და შემდგომი გაუმჯობესების, ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის და სკოლის მატერიალური რესურსების გაუმჯობესებას.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები მოიცავს უწყვეტ ციკლს, რომელიც გულისხმობს: დაგეგმვას, განხორციელებას, შეფასებას, რეკომენდაციების შემუშავებას, ინტერვენციას და მის შედეგებზე დაკვირვებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები (ნაბიჯები და ეტაპები) იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის სხვადასხვა დოკუმენტებში: შინაგანაწესში, შრომით ხელშეკრულებებში. სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი პროცესი, კურიკულუმის შემუშავება, მეთოდოლოგიურად აღწერილია კურიკულუმის განვითარებისა და შემუშავების მეთოდოლოგიაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას შექმნილი აქვს გასაჩივრების წესი. დოკუმენტი განსაზღვრავს სკოლაში წარდგენილი განცხადების/საჩივრის დარეგისტრირების, განხილვისა და შედეგის დადგენის პროცედურებს. განცხადების/საჩივრის შემოტანა შეუძლია მოსწავლეს, მშობელს, სკოლაში დასაქმებულ პერსონალს ან/და სხვა დაინტერესებულ პირს. დოკუმენტში მკაფიოდ არის გაწერილი პროცესის საფეხურები და წარმოების ვადები. შინაგანაწესის 22-ე მუხლით განსაზღვრულია განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებებიც მოიცავს გასაჩივრების პუნქტს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლამ წარმოადგინა სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომლითაც რეგულირებულია სკოლისა და მშობლის ურთიერთვალდებულებები. პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმები აღწერილია შინაგანაწესის რამდენიმე მუხლში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- გასაჩივრების წესი
- შინაგანაწესი

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება

### 3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლაში შედგენილი მართვის პროცესებთან დაკავშირებული გარკვეული დოკუმენტები საჯაროა და მათი გაცნობის ვალდებულება სკოლის ყველა თანამშრომელს და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს აქვთ. მათ შორისაა, სკოლის შინაგანაწესი.

მშობელთან ურთიერთობის დებულების შესაბამისად სკოლა ვალდებულია მიაწოდოს ინფორმაცია მშობელს/წარმომადგენელს მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და გაცდენების შესახებ; მშობლებს შეუძლიათ დამრიგებელთან შეთანხმებით ჩანიშნონ შეხვედრა სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე სასაუბროდ. სადამრიგებლო პროგრამაში გაწერილია დამრიგებლის მოვალეობები. მისი მოვალეობაა მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს გააცნოს მათი უფლებები და მოვალეობები (სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი საკითხები და სხვა). ასევე რეგულარულად მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მიღწევების, დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატების შესახებ.

საჭიროების შემთხვევაში შეხვედრს დაინტერესებულ მშობელს და მიაწოდოს მას მოსწავლესთან და სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაცია. გამოკვეთილი საჭიროებიდან გამომდინარე სკოლა გეგმავს საჭირო ღონისძიებებს. სკოლაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საინფორმაციო დაფა, საიდანაც სასკოლო საზოგადოება ეცნობა სიახლეებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობას. როგორც ცნობილია, სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში მშობლები და პედაგოგები თანაბარი ხმის უფლებით სარგებლობენ. მოსწავლეთა თვითმმართველობასაც ჰყავს საკუთარი წარმომადგენელი სამეურვეო საბჭოში. სკოლაში მრჩეველთა საბჭოც ფუნქციონირებს, სადაც სკოლის წარმომადგენლებთან ერთად რესურსცენტრის მიერ განსაზღვრული პირები მონაწილეობენ გარკვეული საკითხების განხილვაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- თვითმმართველობის დებულება
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები
- პედსაბჭოს ოქმები
- მშობელთა კრების ოქმი

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

### 3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

#### 3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლას ჰყავს 2 მანდატური, ასევე ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს თავის საქმიანობის შესაბამისად მოსწავლეთა უსაფრთხოებას. სკოლას დასაქმებული ყავს 2 დარაჯი. სკოლას აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

სკოლას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს „სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკა“, რომელიც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მექანიზმი, სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, წესრიგისა და სკოლის კუთვნილი

ქონების დაცვა, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმები, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმები, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმები და ასევე პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები.

სკოლაში ფუნქციონირებს კანონმდებლობის დაცვით შექმნილი უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭო. მრჩეველთა საბჭოს ოქმში აღნიშნულია, რომ სკოლამ მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აწვდის სსიპ - „112“-ის ცხელი ხაზის ნომრის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური ცენტრის და მანდატურის სამსახურის მონიტორინგის სამმართველოს ცხელი ხაზის ნომრებს და ასევე აღნიშნული უწყების ფუნქციებისა და მნიშვნელობის შესახებ ინფორმაციას. აღნიშნული გამოკრულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე. სკოლას მიეცა რჩევა აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. სკოლას არ აქვს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, აქვე უნდა აღნიშნოს, რომ პროცესი დაწყებულია, გაგზავნილია შესაბამის სტრუქტურებთან მიმართვის წერილები. სკოლის ღობე დაზიანებულია და საჭიროებს შეკეთებას. სპორტული დარბაზი სრულად სარეაბილიტაციოა, იატაკი ვარდება და მისი გამოყენება შეუძლებელია, თუმცა სკოლას გამოყოფილი აქვს სივრცე სპორტის გაკვეთილების ჩასატარებლად. სკოლის დასავლეთი ფლიგელი სარემონტოა, წვიმის დროს წყალი ჩამოდის და კედლები საკმაოდ დაზიანებულია. სკოლამ წარმოადგინა სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთვის მიწერილი წერილები. მიუხედავად ინფრასტრუქტურული მდგომარეობისა, სკოლა ახერხებს საგაკვეთილო პროცესის უზრუნველყოფას. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (23.09.2024 წელი - 23.09.2026) უზრუნველყოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის წარმოდგენა.

სკოლას მიეცა ასევე რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (09.10.2024 წელი - 09.10.2026) უზრუნველყოს ღობის აღდგენა.

სკოლას მიეცა ასევე რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (30.09.2024 წელი - 30.09.2026) უზრუნველყოს სკოლის დასავლეთის ფლიგელის რემონტი. ინდიკატორი ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.

2. პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით, სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით. სკოლას საშტატო განრიგის შესაბამისად დასაქმებული ჰყავს კვალიფიციური ექიმი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის

სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის“ შესაბამისად. სკოლას გაფორმებული აქვს ექიმთან ხელშეკრულება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას 2019 წლის 29 იანვრის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ №06/ნ ბრძანების საფუძველზე. სკოლაში არის 2 მანდატური, სკოლაში დასაქმებულია დარაჯი და ბრძანებით განსაზღვრული უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლის მიერ შედგენილი დოკუმენტაცია (მათ შორის, შინაგანაწესი) თავისი შინაარსით, მოიცავს წესრიგის დაცვის გაწერილ მექანიზმებს, რომლებიც საჯაროა და ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლის შინაგანაწესით რეგულირდება სკოლის ტერიტორიაზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ნორმები. სკოლაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ქცევის წესები, გადაუდებელი დახმარების ნომრები და ა.შ., რითაც ასევე რეგულირდება წესრიგის დაცვის მექანიზმები. სკოლას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს „სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკა“, რომლის ერთ-ერთი თავია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში დასაქმებული პირები, ერთობლივად ქმნიან ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს. სკოლის დერეფნებში გამოკრული მოსწავლეთა მიერ განხორციელებული სხვადასხვა ნამუშევარი, რაც ასევე პოზიტიურ და ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემოზე მიუთითებს. ამასთანავე სკოლაში, დამრიგებლებს შემუშავებული აქვთ სადამრიგებლო კლასის პროგრამა, სადამრიგებლო კლასის საათზე განიხილავენ სხვადასხვა თემას. სკოლას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს „სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკა“, რომლის ერთ-ერთი თავია ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმები. დოკუმენტი შეიცავს ფსიქოლოგიური შინაარსის კონფლიქტების მართვის სტრატეგიებს და ასევე საინფორმაციო და პრევენციულ ღონისძიებების ჩამონათვალს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სანიტარული ნორმების დაცვას უზრუნველყოფს დამლაგებელი, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების შიდა და გარე ფართის მოწესრიგებას. სანიტარული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი ინვენტარის შესანახად გამოყოფილია ოთახი. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლაში არსებული პერსონალური ინფორმაცია არ ზიარდება ვებგვერდებზე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს სსიპ -განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს. სკოლის საქმისმწარმოებელთან არის დაცული სკოლის თანამშრომლების და მოსწავლეების პირადი საქმეები, რომელიც შენახულია და ხელმისაწვდომია მხოლოდ უფლებამოსილი პირებისათვის. ამასთანავე, გამოყოფილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. კერძოდ - დირექტორის მოადგილე. სკოლას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს „სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკა“, რომლის ერთ-ერთი თავია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები, დოკუმენტში გაწერილია პერსონალურ მონაცემთა დამუშავება, დამუშავებული მონაცემების გამოყენების მიზნები, მონაცემთა დაცვა და სხვა. **სკოლას მიეცა რჩევა აიყვანოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

7. სკოლაში გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა ლიცენზირებულია. სკოლაში არსებული პერსონალური ინფორმაცია არ ზიარდება ვებგვერდებზე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს. სკოლის საქმისმწარმოებელთან არის დაცული სკოლის თანამშრომლების და მოსწავლეების პირადი საქმეები, რომელიც შენახულია და ხელმისაწვდომია მხოლოდ უფლებამოსილი პირებისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

8. სკოლა აღნიშნული მიზნით აქტიურად იყენებს მრჩეველთა საბჭოს. მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე განიხილავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენს სკოლის დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით. მრჩეველთა საბჭოს სხდომებს სკოლა იყენებს იმ ღონისძიებათა (მათ შორის პრევენციული) დასაგეგმად, რომელიც მიზანშეწონილია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას, რაც დასტურდება მრჩეველთა საბჭოს ოქმებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სადამრიგებლო პროგრამა;

- მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი.;
- დამლაგებლის ხელშეკრულება
- დარაჯის ხელშეკრულება
- სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკა

შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☒ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

### 3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

## ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მდებარეობს ქალაქ ფოთში. გიორგი ჭყონდიდელის ქ. N33-ში. უძრავი ქონების საკადასტრო კოდია N04.02.06.087. სკოლის დაზუსტებული ფართობია 9713.00 კვ.მ. სკოლა სამსართულიანია,

სასწავლო პროცესი ერთ ცვლაში მიმდინარეობს. ამ ეტაპისთვის E-school-ის მონაცემებით სკოლაში სწავლობს **381 მოსწავლე**. პირველ სართულზეა ადაპტირებული სველი წერტილი. სკოლაში არის 17 საკლასო ოთახი, სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი, რესურს ოთახი და ექიმის კაბინეტი. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის შენობაში სასწავლო პროცესი ერთ ცვლაში ხორციელდება. ამ დროის განმავლობაში, სასკოლო საზოგადოება სარგებლობს ბიბლიოთეკით, კომპიუტერული ლაბორატორიით, გამოყოფილი ოთახებით. შემუშავებულია სასკოლო რესურსებით სარგებლობის წესები, რომელიც არეგულირებს სკოლის სარგებლობაში არსებული რესურსების, კომპიუტერული ლაბორატორიის, კომპიუტერული ტექნიკის და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესს. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება, ასევე ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც ასევე გამოკრულია ბიბლიოთეკაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. სკოლამ წარმოადგინა ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, ინვენტარიზაციის წიგნი. ბიბლიოთეკის საქმიანობა ეფუძნება ბიბლიოთეკის დებულებას. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შედგება სახელმძღვანელოების, საბავშვო ლიტერატურის, დამხმარე სახელმძღვანელოების, ქართული და უცხოური ლიტერატურისაგან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია;**

4. სკოლის აქვს შენობაში შესასვლელი პანდუსი, პირველ სართულზე არის ადაპტირებული სველი წერტილი, თუმცა შენობაში არ არის ლიფტი და/ან პანდუსები (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის), ეტლით მოსარგებლე პირები ვერ შეძლებენ სკოლის შიგნით გადაადგილებას. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (25.09.2024 წელი-25.09.2026 წელი) უზრუნველყოს შიდა პანდუსის / ლიფტის მოწყობა. **ინდიკატორი ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის ინფრასტრუქტურა (სკოლის ეზო, დერეფნები) ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები ერთმანეთთან, სასკოლო საზოგადოებისა და თემის სხვა თანატოლ თუ ზრდასრულ წარმომადგენლებთან ერთად. **ინდიკატორი დამაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ გიორგი ჭყონდიდელის სახელობის ქალაქ ფოთის N7 საჯარო სკოლის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ბიბლიოთეკის დებულება

- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი
- სასკოლო რესურსებით სარგებლობის წესი
- სკოლის წერილი სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს

შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☒ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

### 3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში არის კომპიუტერული ლაბორატორია,რომელიც აღჭურვილია საკმარისი კომპიუტერული ტექნიკით ,26 პერსონალური კომპიუტერი და 29 ლეპტოპი. სკოლაში არის ასევე 3 პრინტერი, 17 ცალი ლეპტოპი დაწყებითი კლასი მასწავლებლებისათვის არის გადაცემული, პრინტერი 6 ცალი, პროექტორი 1 ცალი სკოლის მიერ შეძენილი.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის. აღნიშნულის რეგულირების მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს „სასკოლო რესურსებით სარგებლობის წესი“, რომელიც არეგულირებს სკოლის სარგებლობაში არსებული რესურსების, მათ შორის კომპიუტერული ლაბორატორიის და კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობის წესს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- „სასკოლო რესურსებით სარგებლობის წესი“;

### 3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების მეთოდოლოგიური დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტი საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას შეესაბამება. დოკუმენტის მიზანია მოაწესრიგოს დოკუმენტების ბრუნვა, აამაღლოს დოკუმენტების შედგენისა და გაფორმების ხარისხი და უზრუნველყოს დაწესებულების მუშაობის ეფექტიანობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას eflow-ს. საქმისწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებულ ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას,

უზრუნველყოფს შემოსული კორესპოდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა. ბრძანების ფორმა შეესაბამება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავის 52-ე მუხლს. სკოლას აქვს სარეგისტრაციო ჟურნალები: საკადრო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი, საერთო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი და შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი. საქმისმწარმოებელი პასუხისმგებელია თანამშრომელთა პირადი საქმეების მოწესრიგებაზე, აკონტროლებს მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოებას, პასუხისმგებელია დირექტორის ბრძანებების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობაზე. გარდა ამისა, სკოლას აქვს ოფიციალური ელექტრონული ფოსტა: poti7@mes.gov.ge. სკოლის მონაცემები ასახულია სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (E-school). სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლას სრულად აქვს ასახული ინფორმაცია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (E-school.emis.ge), სრულად არის ასახული თანამშრომელთა, მშობელთა და მოსწავლეთა მონაცემები. სსსმ მოსწავლეების მონაცემები ასახულია, ატვირთულია მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნები და მიმაგრებულია სპეცმასწავლებელი. ასახულია მოსწავლეთა მობილობა/სტატუსის ცვლილება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. პირველად ავტორიზაციაზე ინდიკატორი არ ფასდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის მიერ შედგენილი და დამტკიცებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.
- საქმისმწარმოების წესი
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

### 3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

#### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილი ვებ გვერდი, <https://skolebi.emis.ge/school>, რომელზეც გამოქვეყნებულია სკოლის შესახებ ზოგადი ინფორმაცია, (სკოლის ტიპი, შენობების რაოდენობა, მასწავლებელთა რაოდენობა, მოსწავლეთა რაოდენობა, ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტა) სკოლა საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის იყენებს ასევე ელექტრონულ ჟურნალს და სოციალურ ქსელს (facebook). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლას განსაზღვრული ჰყავს, მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს, სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. **3.6.3.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
3. პირველად ავტორიზაციაზე ინდიკატორი არ ფასდება.
4. სკოლის ვებგვერდზე <https://skolebi.emis.ge/school> ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
5. სკოლის ვებ-გვერდზე ინფორმაცია სრულად არის ატვირთული. ვებ გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები და საკონტაქტო ინფორმაცია.

## ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვებ გვერდი <https://skolebi.emis.ge/>
- ვიზუალური დათვალიერება

შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

### 3.7. ფინანსური რესურსები

#### 3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს ბიუჯეტი, რომელსაც სკოლის დირექტორი შეიმუშავებს წინა წლის ბიუჯეტის შესრულების და სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით. ბიუჯეტის დამტკიცება ხდება სამეურვეო საბჭოზე და თანხების განკარგვა მიმდინარეობს დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით. ბიუჯეტის საფუძველზე ხდება შესყიდვების გეგმის შედგენა. ვაუჩერული დაფინანსების გაზრდის ან/და სხვა შემოსავლების გაზრდის შემთხვევებში კანონმდებლობის დაცვით ხდება ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა, ასევე შესყიდვების გეგმის

კორექტირება. სკოლის დირექტორი 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ფინანსურ ანგარიშს. ბიუჯეტი აგებულია სკოლის სამოქმედო გეგმიდან გამომდინარე და მთელი წლის მანძილზე ბიუჯეტის მიხედვით ხდება თანხების მიზნობრივი ხარჯვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმით დასტურდება, რომ სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება ხორციელდება კანონის შესაბამისად. სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს სკოლის ბიუჯეტს დასამტკიცებლად, სკოლას შემუშავებული აქვს შესყიდვების წლიური გეგმა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის ბიუჯეტი
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

#### 4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

##### 4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

##### 4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

#### **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა; წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ დაწესებულების პერსონალი მუშაობს მოსწავლეების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. მოსწავლეების უფლებებთან და კანონიერ ინტერესებთან დაკავშირებული პროცედურები გაწერილია სასწავლო გეგმაში, შინაგანაწესში. სკოლის შინაგანაწესი, ცალკე მუხლებად გამოყოფს: მუხლი 11. მოსწავლის წახალისების ფორმები და გამოყენების წესი; მუხლი 16. მოსწავლის დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები;

სკოლის მიერ განხორციელებული მოსწავლეების მიერ სტატუსის მოპოვების, შეჩერების და შეწყვეტის ქმედებები არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. სკოლას ასევე აქვს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი დოკუმენტი. რომლის თანახმადაც, მოსწავლეს უფლება აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით, წერილობით ან/და ზეპირად გამოხატოს საკუთარი აზრი და გამოიჩინოს ინიციატივა. მოსწავლეს უფლება აქვს მიიღოს ხარისხიანი განათლება, ისარგებლოს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკით და სხვა სასწავლო და საგანმანათლებლო რესურსებით.

მშობელთან/ კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება არეგულირებს, როგორც მშობლის, ასევე მოსწავლის უფლება-მოვალეობებს. სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს შემდეგ დოკუმენტაციას: სკოლის შინაგანაწესს; მოსწავლის ქცევის კოდექსს; გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხას; სკოლაში არსებულ მოსწავლეთა ზოგადი შეფასების სისტემას; სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობების შესახებ ინფორმაციას. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს დოკუმენტი: „გასაჩივრების დეტალური პროცედურები“ ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. ასევე მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულების მე-8 მუხლი ეხება შინაგანაწესის გაცნობას, რომელიც დასტურდება ხელისმოწერით. კლასის დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეთა ჩართულობით შეიმუშავენ მოსწავლეთა ქცევის წესებს, რომელიც გამოკრულია საკლასო ოთახებში.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. მოსწავლესთან / მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ პუნქტებს: ხელშეკრულების თარიღს, ხელშეკრულების მხარეთა მონაცემებს, ხელშეკრულების საგანს, სკოლის საქმიანობას, მხარეთა უფლება-მოვალეობებს, სასწავლო დროს, დასვენების დროს, უქმე დღეებს, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესს, დავების გადაწყვეტა და მის მარეგულირებელი კანონმდებლობას, დამატებითი პირობებს, შინაგანაწესის გაცნობას, მხარეთა რეკვიზიტებს და ხელმოწერებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- „გასაჩივრების დეტალური პროცედურები“
- შინაგანაწესი
- მოსწავლესთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება
- სასკოლო სასწავლო გეგმა

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლა ხელმძღვანელობს კანონმდებლობით, კერძოდ: “ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესით” ( საქართველოს განთლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის ბრძანებით N04/ნ ). მოსწავლეთა ჩარიცხვის დოკუმენტაციის გადამოწმებას ახორციელებს სკოლის საქმისმწარმოებელი . სკოლა ეტაპობრივად მიყვება აღნიშნული კანონის აღსრულებას: მოსწავლის მობილობის შესახებ მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე იწყება საქმისწარმოება. დამრიგებლების დებულების თანახმად, კლასის დამრიგებლები ახორციელებენ მოსწავლეთა გაცდენების მონიტორინგს, 10 / 20 /45 დღე უწყვეტად გაცდენის შემთხვევაში დამრიგებლის სამსახურეობრივი ბარათის საფუძველზე მიმართავს დირექტორს სტატუსის შეჩერების /შეწყვეტის შესახებ.სკოლას აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების მექანიზმი, რომელიც მოიცავს მოსწავლის პირველ კლასში ჩარიცხვის პროცედურას,მოსწავლის ჩარიცხვას(გარდა პირველი კლასელისა), მოსწავლის სტატუსის შეჩერება/აღდგენას და საფეხურის დაძლევას.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. მართვის საინფორმაციო სისტემის E-school.emis.ge -ს და პირადი საქმეების დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურებების სახეები, პროგრამები, შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია გამოკრულია სკოლის შესასვლელში.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების რესურსების, შესახებ, რომელიც დაკავშირებულია სკოლასთან მიმართებით მის ტერიტორიაზე და ინტერნეტ სივრცეშიც არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. გავრცელებული ყველა ტიპის ინფორმაცია გადამოწმებულია. სკოლის სახელით გავრცელებული

ყველა ინფორმაცია ეყრდნობა ეთიკის, გამჭვირვალობის და არადისკრიმინაციულობის ძირითად პრინციპებს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სოციალური ქსელი;
- მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება
- შინაგანაწესი
- E-school-ის ბაზა;
- დირექტორის ბრძანებები (მოსწავლის ჩარიცხვა, სტატუსის შეჩერება)
- „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების მექანიზმი“ დოკუმენტი

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

#### 4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

##### 4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

1. სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს „მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი“, რომელშიც წარმოდგენილია სკოლის მიერ დაგეგმილი ნაბიჯები და აქტივობები ახალი მოსწავლეებისთვის გარემოსთან ადაპტაციისთვის. დოკუმენტი მოიცავს ა) პირველკლასელების ადაპტაციას სკოლაში, ბ) სკოლაში გადმოსული მოსწავლეების ადაპტაციას და ასევე რეკომენდაციებს მშობლებისთვის სკოლასთან ადაპტაციის ხელშესაწყობად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. პირველად ავტორიზაციაზე ინდიკატორი არ ფასდება.

3. სკოლა მოსწავლეს/ მშობელს / კანონიერ მეურვეს რეგულარულად, ინდივიდუალურად აწვდის მოსწავლის შესახებ განმავითარებელ შეფასებას. მასწავლებლის მიერ გამოყენებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება ხელმისაწვდომია, როგორც მოსწავლისთვის ასევე მისი მშობლისათვის / კანონიერი მეურვისათვის, ელექტრონული ჟურნალის საშუალებით. აღნიშნული მიმართულებით, საჭიროების შემთხვევაში, საგნის მასწავლებლები სხვადასხვა საკონსულტაციო შეხვედრას მართავენ მოსწავლეებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა მოსწავლეს დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. სასკოლო სასწავლო გეგმით წინასწარ განსაზღვრულია სკოლაში წლიური, სემესტრული ექსტერნისა და საშემოდგომო გამოცდების ჩატარების წესები და პირობები, ასევე მობილობის შეწყვეტის და განახლების ვადების, ექსტერნატის წესით კლასის/კლასების დამღევის წესები. სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობას წლის დასაწყისში უზრუნველყოფს დამრიგებელი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით სკოლა მხარს უჭერს დამატებითი/არაფორმალური აქტივობებს და მხარს უჭერს მოსწავლეთა ინიციატივებს. კერძოდ: სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც საკმაოდ აქტიურია. საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეებში ხშირია დაინტერესება ინტელექტუალური თამაშების შესახებ. მოსწავლეები იჩენენ ინიციატივას, თანამამრომლობენ ადმინისტრაციასთან და მათი დახმარებით ატარებენ ღონისძიებას. სკოლას ასევე შექმნილი აქვს დოკუმენტი „მოსწავლის ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი“, რომლის მეორე მუხლია: მოსწავლის ინიციატივის მხარდამჭერი მექანიზმის აღმწერები.

სკოლაში ხორციელდება პროექტები სწავლების სამივე საფეხურზე. მიმდინარე წელს დაინერგა საგაკვეთილო რუბრიკები: „საკლასო ოთახიდან გასული გაკვეთილები" და „არა-ჩვეულებრივი გაკვეთილები", რომლის ფარგლებშიც არაერთი პრაქტიკული გაკვეთილი და საინტერესო ინიციატივა განხორციელდა. სკოლის გარეთ წარმატებული, გამარჯვებული მოსწავლეების წახალისებას ემსახურება სკოლაში ტრადიციად ქცეული დილის საზეიმო შეხვედრა მათთან და მათი წარმატების ყველასათვის გაცნობა. სკოლის მოსწავლეები აქტიურად ერთვებიან სასკოლო და საქალაქო კონკურსებში, მონაწილეობენ საგნობრივ ოლიმპიადებში. სკოლას ყოველწლიურად ჰყავს პროგრამის „ჩემი პირველი კომპიუტერი" ბენეფიციარი და ოქროსმედალოსანი კურსდამთავრებული. ასევე ნელი გეგეშიძის ფონდის, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტისა და APM ტერმინალის კონკურსის ნომინანტები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. აქტივობები, რომლებიც სკოლაში იმართება, ძირითადად მოსწავლეებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან აზრთა გაზიარებისა და შეთანხმების შედეგად ხორციელდება. რომელსაც, შემდგომ სკოლა იყენებს მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი
- განხორციელებული პროექტები
- თვითმმართველობის დებულება,
- დამრიგებლის მუშაობის დებულება
- სოციალური ქსელი

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- „მოსწავლის ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი“
- „მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი“,

#### 4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლა მოსწავლეებს სისტემატურად აწვდის ინფორმაციას საგანმანათლებლო პროგრამებისა და სხვადასხვა პროფესიების შესახებ. სკოლა სიახლეებს აცნობს ღია კარის დღეების ჩატარების შესახებ, სადაც სთავაზობენ კონკრეტულ პროგრამებზე / ლექციებზე დასწრებას. მიღებულ ინფორმაციას დირექცია აწვდის შესაბამისი კლასების დამრიგებლებს, რომლებიც, თავის მხრივ, აცნობენ სადამრიგებლო კლასების მოსწავლეებსა და მშობლებს, ძირითადად სოციალური ქსელების დახმარებით. სკოლას გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი საზოგადოებრივ კოლეჯთან „ფაზისი“, რომლის ფარგლებშიც სკოლაში ხორციელდებოდა კერვის მოკლევადიანი პროფესიული პროგრამა საბაზო საფეხურის მოსწავლეებისათვის. ახალ სასწავლო წელს განხორციელდება ჭრა-კერვის ორ თვიანი კურსი და ასევე კომპიუტერული ტექნოლოგიების მოკლევადიანი კურსი. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე და დოკუმენტბრუნვის სისტემაში შემოსულ ინფორმაციას და სიახლეებს დირექცია აწვდის შესაბამისი კლასების დამრიგებლებს, რომლებიც, თავის მხრივ, აცნობენ სადამრიგებლო კლასების მოსწავლეებსა და მშობლებს სხვადასხვა საშუალებებით. (კრებაზე, სოციალური ქსელით და სხვა) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.სხვადასხვა მექანიზმის გამოყენებით (გამოკითხვა, ინტერვიუ, ჯგუფური დისკუსია და ა.შ.) მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სოციალური ქსელი
- განხორციელებული პროექტები
- ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან
- მემორანდუმი კოლეჯ „ფაზისთან“

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით დამტკიცებული აქვს სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებული ფორმა - დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ინტერესებს, სპეციფიკურ მოთხოვნებსა და საჭიროებებს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იძლევა საშუალებას ორიენტირებულად მოხდეს დროის ყოველი მონაკვეთის დაგეგმვა, გაკვეთილებზე დასწრებისა და რესურს ოთახში ინდივიდუალური მეცადინეობების გათვალისწინებით. ისგ იქმნება კონკრეტული სსსმ მოსწავლისათვის. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ქმნის ისგ ჯგუფი, რომელიც დამტკიცებული აქვს

დირექტორის სასწავლო წლის დასაწყისშივე. სკოლას ჰყავს 7 სსსმ მოსწავლე და 1 სპეციალური მასწავლებელი . ყველა მოსწავლის მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა ატვირთულია E-school-ის ბაზაში. რესურსოთახის კარებთან გაკრულია სპეციალური მასწავლებლის მუშაობის განრიგი. სკოლას შემუშავებული აქვს ყოველწლიური ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილია ინკლუზიური განათლების განხორციელებისთვის შესაბამისი აქტივობები, ვადები და პასუხისმგებელი პირები. კერძოდ, სსსმ მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაცია, მშობლის /კანონიერი წარმომადგენლის კონსულტაცია, ისე ჯგუფების შექმნა, სხდომების დაგეგმვა და ორგანიზება.სკოლას ასევე აქვს დოკუმენტი „სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია“, რომელიც შედგება მუხლებისგან: ა)სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების იდენტიფიცირებისა და სსსმ სტატუსის მოპოვების რეგულაცია, ბ)სსსმ სტატუსის მოხსნის რეგულაცია,გ)ინდგეგმების შემუშავებისა და შესრულების მინიტორინგი,დ)სკოლის ვალდებულებები, ე)სსსმ მოსწავლის კონფიდენციალობის უზრუნველყოფის რეგულაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. სკოლას აქვს რესურსოთახი, ჰყავს სპეციალური მასწავლებელი. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ისე ჯგუფის ფორმირება. ისე ჯგუფის მუშაობა ეფუძნება მასწავლებელთა და მშობლის ერთობლივ საქმიანობას. სსსმ მოსწავლის / მოსწავლეების საჭიროებების მიხედვით შექმნილია ინდივიდუალური გეგმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
- სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა
- „სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია“,

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. *აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.*

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებელი მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

#### **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლა დამატებით, არასავალდებულო მომსახურებად სთავაზობს კვების ბლოკსა (ბუფეტს). სკოლას იჯარით აქვს გაცემული 22.51 კვ.მ ფართი. აღნიშნული შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან. ხოლო სკოლას მოიჯარესთან დადებული აქვს ხელშეკრულება. სკოლას შექმნილი ჰყავს მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც მონიტორინგს უწევს კვების მომსახურების ბლოკს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლაში დამატებითი არასავალდებულო მომსახურება ხორციელდება ნებაყოფლობით. მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლის მიერ შეთავაზებული მომსახურებები ხორციელდება კანონის დაცვით. მოიჯარეებთან დადებულია ხელშეკრულება, ხოლო აღნიშნული შეთანხმებულია სკოლის სამეურვეო საბჭოსთან. კვების ბლოკის შემთხვევაში, სკოლას შექმნილი ჰყავს მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ამოწმებს შესრულებული საქმიანობის ხარისხს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

#### **დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- იჯარის ხელშეკრულება
- კვების ობიექტის საქმიანობის მონიტორინგის მიზნით მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება N2-14



### შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

## ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

### I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

| სტანდარტი 2                                                               | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)                                                                                                 |
|---------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის<br>ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| კომპონენტი 2.1<br>კურიკულუმის შემუშავება                                  | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| კომპონენტი 2.2<br>კურიკულუმის განხორციელება                               | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| კომპონენტი 2.3<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება                     | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| კომპონენტი 2.4<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია                       | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

### 2. სასკოლო კურიკულუმი

#### 2.1. კურიკულუმის შემუშავება

##### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

##### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შემუშავებული „კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია“ იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობების და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. (ხარისხის ექსპერტის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების შეფასების ფორმა-დანართები 5<sup>1</sup>) **ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია**
2. სკოლას დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში ასახული აქვს სასკოლო საზოგადოების ინტერესები. (ხარისხის ექსპერტის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების შეფასების ფორმა-დანართები 5<sup>1</sup>) **ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია**
3. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. (ხარისხის ექსპერტის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების შეფასების ფორმა-დანართები 5<sup>1</sup>) **ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია**
4. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. (ხარისხის ექსპერტის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების შეფასების ფორმა-დანართები 5<sup>1</sup>) **ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია**

##### დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები

##### 2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;
3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;
5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

#### **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:**

1.ექსპერტთა შეფასებით, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. (იხილეთ ხარისხის ექსპერტის და საგნობრივი ექსპერტების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების შეფასების ფორმები-დანართები 5<sup>1</sup> და 5<sup>2</sup>) **ინდიკატორი 2.1.2.1.დაკმაყოფილებულია**

2.ექსპერტთა შეფასებით, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს (იხილეთ ხარისხის ექსპერტის და საგნობრივი ექსპერტების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების შეფასების ფორმები-დანართები 5<sup>1</sup> და 5<sup>2</sup>) **ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია**

3.საგნობრივი ექსპერტების შეფასებით, კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. (იხილეთ საგნობრივი ექსპერტების, დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების შეფასების ფორმები-დანართები 5<sup>2</sup> ) **ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია**

4.ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. (იხილეთ ხარისხის ექსპერტის და საგნობრივი ექსპერტების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების შეფასების ფორმები-დანართები 5<sup>1</sup> და 5<sup>2</sup> ) **ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია**

5.საგნობრივი ექსპერტების შეფასებით, მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. (იხილეთ საგნობრივი ექსპერტების, დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების შეფასების ფორმები-დანართები 5<sup>2</sup> ) **2.1.2.5 დაკმაყოფილებულია**

#### **დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა

- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები

შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

## 2.2. კურიკულუმის განხორციელება

### 2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;
2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად; (იხილეთ საგნობრივი ექსპერტების, დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების შეფასების ფორმები-დანართები 5<sup>2</sup>) ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია

2. პირველად ავტორიზაციაზე ინდიკატორი არ ფასდება

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი; (იხილეთ საგნობრივი ექსპერტების, დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების შეფასების ფორმები-დანართები 5<sup>2</sup>) **ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია**

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. (ხარისხის ექსპერტის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების შეფასების ფორმა-დანართები 5<sup>1</sup>). **ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია**

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. (ხარისხის ექსპერტის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების შეფასების ფორმა-დანართები 5<sup>1</sup>) **ინდიკატორი 2.2.1.5. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- შეფასების რუბრიკები

## 2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

1. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;
3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:**

1. პირველად ავტორიზაციაზე ინდიკატორი 2.2.2.1. არ ფასდება

2. საგნობრივი ექსპერტების შეფასებით, სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას. (იხილეთ საგნობრივი ექსპერტების, დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების შეფასების ფორმები-დანართები 5<sup>2</sup>) **ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია**

3. საგნობრივი ექსპერტების შეფასებით, კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. (იხილეთ საგნობრივი ექსპერტების, დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების შეფასების ფორმები-დანართები 5<sup>2</sup>) **ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია**

4. საგნობრივი ექსპერტების შეფასებით, სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი. (იხილეთ საგნობრივი ექსპერტების, დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების შეფასების ფორმები-დანართები 5<sup>2</sup>) **ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
- დაწყებითი კათედრის სხდომის ოქმი.

**შეფასება:**

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

## 2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

### 2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას;
3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

#### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. პირველად ავტორიზაციაზე ინდიკატორი 2.3.1.1. არ ფასდება
2. სკოლაში მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას (ხარისხის ექსპერტის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების შეფასების ფორმა-დანართები 5<sup>1</sup>) ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია
3. სკოლაში მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. (ხარისხის ექსპერტის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების შეფასების ფორმა-დანართები 5<sup>1</sup>) ინდიკატორი 2.3.1.3 დაკმაყოფილებულია

#### დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

### 2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. სკოლაში შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. (ხარისხის ექსპერტის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების შეფასების ფორმა-დანართები 5<sup>1</sup>) **ინდიკატორი 2.3.2.1 დაკმაყოფილებულია**

2. სკოლაში შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. (ხარისხის ექსპერტის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების შეფასების ფორმა-დანართები 5<sup>1</sup>) **ინდიკატორი 2.3.2.2 დაკმაყოფილებულია**

3. სკოლაში შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. (ხარისხის ექსპერტის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების შეფასების ფორმა-დანართები 5<sup>1</sup>) **ინდიკატორი 2.3.2.3 დაკმაყოფილებულია**

4. სკოლაში შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. (ხარისხის ექსპერტის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების შეფასების ფორმა-დანართები 5<sup>1</sup>) **ინდიკატორი 2.3.2.4 დაკმაყოფილებულია**

### დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- შეფასების რუბრიკები

### შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

## 2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

### 2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. პირველადი ავტორიზაციაზე ინდიკატორი 2.4.1.1. არ ფასდება
2. პირველადი ავტორიზაციაზე ინდიკატორი 2.4.1.2. არ ფასდება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.....  
.....  
.....

შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება



| სტანდარტი 2                                                                 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)                                                                                                 |
|-----------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| სასკოლო კურიკულუმი -<br>(საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო<br>პროგრამა) | <input type="checkbox"/> შეესაბამება<br><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| კომონენტი 2.1<br>კურიკულუმის შემუშავება                                     | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| კომონენტი 2.2<br>კურიკულუმის განხორციელება                                  | <input type="checkbox"/> შეესაბამება<br><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| კომონენტი 2.3<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება                        | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| კომონენტი 2.4<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია                          | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება                                                                                               |

- |  |                                                                                            |
|--|--------------------------------------------------------------------------------------------|
|  | <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
|--|--------------------------------------------------------------------------------------------|

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

### 2. სასკოლო კურიკულუმი

#### 2.1. კურიკულუმის შემუშავება

##### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შემუშავებული „კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია“ იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობების და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. (ხარისხის ექსპერტის საბაზო საფეხურის კურიკულუმების შეფასების ფორმა-დანართები 5<sup>1</sup>) **ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია**
2. სკოლას საბაზო საფეხურის კურიკულუმში ასახული აქვს სასკოლო საზოგადოების ინტერესები. (ხარისხის ექსპერტის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების შეფასების ფორმა-დანართები 5<sup>1</sup>) **ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია**
3. საბაზო საფეხურის კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. (ხარისხის ექსპერტის საბაზო საფეხურის კურიკულუმების შეფასების ფორმა-დანართები 5<sup>1</sup>) **ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია**
4. საბაზო საფეხურის კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. (ხარისხის ექსპერტის საბაზო საფეხურის კურიკულუმების შეფასების ფორმა-დანართები 5<sup>1</sup>) **ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები

## 2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;
3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;
5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1.ექსპერტთა შეფასებით, საბაზო საფეხურის კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. (იხილეთ ხარისხის ექსპერტის და საგნობრივი ექსპერტების საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების შეფასების ფორმები-დანართები 5<sup>1</sup> და 5<sup>2</sup>) **ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია**

2.ექსპერტთა შეფასებით, საბაზო საფეხურის კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს (იხილეთ ხარისხის ექსპერტის და საგნობრივი ექსპერტების საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების შეფასების ფორმები-დანართები 5<sup>1</sup> და 5<sup>2</sup>) **ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია**

3.საგნობრივი ექსპერტების შეფასებით, კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. (იხილეთ საგნობრივი ექსპერტების, საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების შეფასების ფორმები-დანართები 5<sup>2</sup>) **ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია**

4.ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. (იხილეთ ხარისხის ექსპერტის და საგნობრივი ექსპერტების საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების შეფასების ფორმები-დანართები 5<sup>1</sup> და 5<sup>2</sup>) **ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია**

5.საგნობრივი ექსპერტების შეფასებით, მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. (იხილეთ საგნობრივი ექსპერტების, საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების შეფასების ფორმები-დანართები 5<sup>2</sup>) **ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

## 2.2. კურიკულუმის განხორციელება

### 2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;
2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად; (იხილეთ საგნობრივი ექსპერტების, საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების შეფასების ფორმები-დანართები 5<sup>2</sup>) **ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია**

### 2. პირველად ავტორიზაციაზე ინდიკატორი 2.2.1.2. არ ფასდება

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი; (იხილეთ საგნობრივი ექსპერტების, საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების შეფასების ფორმები-დანართები 5<sup>2</sup>) **ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია**

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. (ხარისხის ექსპერტის საბაზო საფეხურის კურიკულუმების შეფასების ფორმა-დანართები 5<sup>1</sup>) **ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია**

### 5. პირველად ავტორიზაციაზე ინდიკატორი 2.2.1.5. არ ფასდება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის კურიკულუმი
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- შეფასების რუბრიკები

## 2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

1. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

